რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა და გარემოს ეკოლოგიური პრობლემები

ეთერ დავითაია

ელ-ფოსტა: eter.davitaia@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში განხილული იქნება რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის აქტუალური საკითხები, ლანდშაფტურ და ბუნებრივ-კომპონენტურ საფუძველზე, ვინაიდან ბუნება ზემოქმედებს ადამიანზე არა მხოლოდ მისი ცალკეული ნაწილებით (კომპონენტებით), არამედ ბუნებრივი პირობების მთელი კომპლექსით.

ასევე, დადგენილ იქნა გარემოს ლანდშაფტურ-რეკრეაციული შეფასების ძირითადი და მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, შეფასებულ იქნა საქართველოს რეკრეაციული ათვისების ინდექსი, რის საფუძველზეც გამოყოფილ იქნა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) რეკრეაციული ტევადობის კატეგორიები და რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაციის ძირითადი პრინციპები, ტურიზმისა და დასვენების სწორი ორგანიზაციის მიზნით.